

## დებულება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პოსტდოქტორანტურის შესახებ

(პოსტდოქტორანტად დასაქმების შესახებ)

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შინაარსს და პოსტდოქტორანტად (მიღების) დასაქმების წესსა და საქმიანობის პირობებს.

2. პოსტდოქტორანტი წარმოადგენს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე საქმდება კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (შემდგომში - „პროექტი“) განსახორციელებლად უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული სამეცნიერო დარგების/მიმართულებების მიხედვით.

### მუხლი 2. პოსტდოქტორანტურის მიზნები

1. პოსტდოქტორანტურის მიზნებია:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი მეცნიერის მხარდაჭერა, მისი უნივერსიტეტისათვის აქტუალური კვლევის განხორციელებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვის გზით.

ბ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების მხარდაჭერა და განვითარება;

გ) ინოვაციების გამოვლენის და სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

დ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელ პირებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა;

### **მუხლი 3. პოსტდოქტორანტად მიღების ფორმები**

1. პოსტდოქტორანტად უნივერსიტეტში მიღება ხორციელდება კონკურსის ან არასაკონკურსო წესით.
2. უნივერსიტეტს უფლება არ აქვს უფლებამოსილი პირის პოსტდოქტორანტად მისაღებად იხელმძღვანელოს მიღების ერთდროულად ორივე ფორმით.
3. პოსტდოქტორანტად მიღებული არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უკავია აკადემიური და სამეცნიერო სტატუსის მქონე თანამდებობა.
4. პოსტდოქტორანტად მიღება ცხადდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ.
5. პოსტდოქტორანტად მიღება ცხადდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაძლებელია გამოცხადდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებად ბეჭდვით ორგანოებში.

### **მუხლი 4. პოსტდოქტორანტად კონკურსის ფორმით მიღების საფუძვლები**

1. უნივერსიტეტში ერთდროულად შეიძლება საქმიანობდეს კონკურსის ფორმით მიღებული არაუმეტეს 12 პოსტდოქტორანტისა.
2. გადაწყვეტილებას უფლებამოსილი პირის პოსტდოქტორანტად მიღების შესახებ იღებს ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი საკონკურსო კომისია პირის მიერ წარმოდგენილი პროექტის შეფასების საფუძველზე.
3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი პროექტების დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ შეფასების საფუძველზე.
4. დამოუკიდებელ ექსპერტების სახით პროექტის შეფასებას ახორციელებენ შესაბამისი სამეცნიერო დარგის/მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები.
5. პოსტდოქტორანტად კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება პირს, რომლის მიერ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევა უკვე დაფინანსებულია სხვა ორგანიზაციის მიერ და ხორციელდება მის ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტის წარმომდგენი უფლებამოსილი პირი და ის ორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც ხორციელდება მისი პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევა, შეფასების დაწყების ეტაპამდე წარმოადგენენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებულ წერილობით დაპირებას, რომ უნივერსიტეტის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მიმდინარე კვლევა იქნება

შეწყვეტილი და მის შედეგებზე უფლებამოსილება (საავტორო ქონებრივი უფლებები, უფლებები გამოგონებაზე, პატენტი და სხვა) ხსენებულ ორგანიზაციას არ ექნება.

## **მუხლი 5. კონკურსის ჩატარების წესი**

1. საკონკურსო კომისიას, რომლის შემადგენლობაში უნდა განისაზღვროს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი, რექტორის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, შესაბამისი დარგის (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან.

3. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება კონკურსში მონაწილეობის უფლებამოსილი პირისა და საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები, საკონკურსო ვადები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

4. უფლებამოსილი პირის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილ განაცხადს, პროექტს და სხვა მოთხოვნილ დოკუმენტაციას რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისია კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

5. სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის არასრულად/ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში საკონკურსო კომისია განაცხადის მიღებასთან ერთად განუსაზღვრავს უფლებამოსილ პირს არანაკლებ 5 დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარდგენილი განაცხადი არ განიხილება.

6. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს შესაბამისი დარგის ექსპერტთა მოძიებას და მათთვის წარმოდგენილი პროექტების შესაფასებლად გადაცემას.

7. საკონკურსოდ წარმოდგენილი ყოველი პროექტი შესაფასებლად ეგზავნება არანაკლებ 2 ექსპერტს. პროექტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასების ქულა გამოიანგარიშება მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესისა და ექსპერტთა ვინაობის ფარულობა.

8. ექსპერტის მიერ პროექტის შეფასების წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

9. ერთ პროექტზე ექსპერტების შეფასებებს შორის 20 ან მეტი ქულიანი სხვაობის არსებობის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია პროექტი დამატებითი შეფასების მიზნით გადასცეს მესამე ექსპერტს. მიღებული სამი შეფასებიდან დაწყვილდება ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომი ორი შეფასება და მათი საშუალო არითმეტიკული იქნება პროექტის საბოლოო შეფასება.

10. მიღებული შეფასებების საფუძველზე საკონკურსო კომისიის მიერ ცხადდება გამარჯვებული პროექტები. გამარჯვებულად შეიძლება გამოცხადდეს პროექტი, თუ მისი შეფასება 90 ქულის ტოლია ან მეტია. იმ შემთხვევაში თუ საუკეთესო შეფასებების მქონე პროექტებს შორის ერთი სამეცნიერო დარგის/მიმართულების პროექტების რაოდენობა ორზე მეტია, გამარჯვებულად ცხადდება მათ შორის პირველი ორი საუკეთესო შეფასების მქონე პროექტი.

11. თუ საუკეთესო შეფასებების მქონე პროექტების რაოდენობა, პროექტების თანაბარი შეფასების გამო, აღემატება კონკურსის წესით მისაღებ (დასაფინანსებელ) პროექტთა რაოდენობას, მათ შორის ყველაზე დაბალი და ტოლი შეფასების მქონე პროექტები არ დაფინანსდება.

12. კომისია კონკურსის შედეგებს წარუდგენს რექტორს.

13. პირის პოსტდოქტორანტად დასაქმების თაობაზე რექტორის გადაწყვეტილება ფორმდება შრომითი ხელშეკრულების სახით. პოსტდოქტორანტი სარგებლობს შესაბამისი შრომის ანაზღაურებით და პოსტდოქტორანტისათვის (დასაქმებულისათვის) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებამოსილებებით.

14. უფლებამოსილი პირის მეცნიერ-კონსულტანტის თანხმობის საფუძველზე განისაზღვრება ის სტრუქტურული ერთეული/ერთეულები, სადაც იგი განახორციელებს პოსტდოქტორანტის საქმიანობას (პროექტს).

## **მუხლი 6. კომისიის საქმიანობის წესი**

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის 2/3.

2. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, რაც არ უნდა იყოს კომისიის სიითი შემადგენლობის 1/2-ზე ნაკლები. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ

შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით. კვორუმის არსებობისა და კომისიის მდივნის ან სამდივნოს სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის სხდომის მდივნის არჩევის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის ამ სხდომის ოქმის შედგენაზე.

4. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას კომისიის ფუნქციონირების ადგილზე).

5. გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში.

7. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

### **მუხლი 7. პოსტდოქტორანტად არასაკონკურსო ფორმით მიღების საფუძვლები**

1. უნივერსიტეტში არასაკონკურსო ფორმით მისაღებ პოსტდოქტორანტთა რაოდენობა შეუზღუდავია.

2. გადაწყვეტილებას უფლებამოსილი პირის პოსტდოქტორანტად მიღების შესახებ იღებს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საკონკურსო კომისია არასაკონკურსო, ინდივიდუალური წესით.

3. არასაკონკურსო ფორმით პოსტდოქტორანტად უნივერსიტეტში მიღება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული პროექტის **ინდივიდუალური წესით**, ალტერნატიული (არასაუნივერსიტეტო) დაფინანსებით უზრუნველყოფის პირობებში ან **სპეციალური წესით** - უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული შესაბამისი ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში.

4. ინდივიდუალური წესით (ალტერნატიული (არასაუნივერსიტეტო) დაფინანსებით უზრუნველყოფის პირობებში) პოსტდოქტორანტად მიღებაზე საჯარო განცხადებაში აღინიშნება მონაწილეობაზე უფლებამოსილი პირისა და წარმოდგენილი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები, ვადები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

5. **ინდივიდუალური წესით** უფლებამოსილი პირის პოსტდოქტორანტად მიღების მიზნით კომისია გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი პროექტის დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ შეფასების საფუძველზე. დამოუკიდებელ ექსპერტების სახით პროექტის შეფასებას ახორციელებენ შესაბამისი სამეცნიერო დარგის/მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები.

6. პროექტის შეფასებისას გამოიყენება ამ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების წესი. ექსპერტის მიერ პროექტის შეფასების წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

7. კომისიის მიერ დაკმაყოფილება ინდივიდუალური წესით განხილული ყველა ის პროექტი, რომლის შეფასება 90 ქულის ტოლია ან მეტია.

8. **სპეციალური წესით** უფლებამოსილი პირის პოსტდოქტორანტად მიღება ხორციელდება ავტომატურად, უნივერსიტეტის სახელით (წამყვანი ორგანიზაცია) მოპოვებულ საგრანტო პროექტში მისი ჩართულობის/მონაწილეობის სახით, იმ შემთხვევაში თუ ხსენებულ პროექტში მითითებული პირი აკმაყოფილებს წინამდებარე დებულებით პოსტდოქტორანტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

9. არასაკონკურსო ფორმით უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტად დასაქმებულ პირს, მიეცემა შრომის ანაზღაურება და იგი სარგებლობს პოსტდოქტორანტისათვის (დასაქმებულისათვის) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებამოსილებებით.

10. უფლებამოსილი პირის მეცნიერ-კონსულტანტის თანხმობის საფუძველზე **ინდივიდუალური წესით** მიღებული პოსტდოქტორანტისათვის განისაზღვრება ის სტრუქტურული ერთეული/ერთეულები, სადაც იგი განახორციელებს პოსტდოქტორანტის საქმიანობას (პროექტს), ხოლო **სპეციალური წესით** მიღებული პოსტდოქტორანტი საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი საგრანტო პროექტის ფარგლებში.

11. **ინდივიდუალური წესით** პოსტდოქტორანტის მიღებისას საკონკურსო კომისია საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დებულების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

12. კომისია **ინდივიდუალური წესით** პროექტების შერჩევის შედეგებს წარუდგენს რექტორს. პირის ინდივიდუალური წესით პოსტდოქტორანტად დასაქმების თაობაზე რექტორის გადაწყვეტილება ფორმდება შრომითი ხელშეკრულების სახით.

13. **სპეციალური წესით** პოსტდოქტორანტის მიღებაზე წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება.

## **მუხლი 8. პოსტდოქტორანტად მიღების პირობები**

1. პოსტდოქტორანტად დასაქმების უფლება აქვს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თუ პოსტდოქტორანტად მიღების პროცედურის დაწყებისას იგი არის არაუმეტეს 35 და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან გასულია არაუმეტეს 3 წლისა.

2. პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველმა უფლებამოსილ ორგანოში ან პირთან (საკონკურსო კომისიაში საკონკურსო განხილვისთვის ან ინდივიდუალური განხილვისთვის, საგრანტო პროექტის ხელმძღვანელთან სპეციალური წესით მიღებისთვის) უნდა წარმოადგინოს:

- ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) გამოქვეყნებული შრომების სია;

ე) უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი მინიჭებული აქვს უცხოენოვანი პროგრამის გავლის საფუძველზე);

ვ) პოსტდოქტორანტის სავარაუდო მეცნიერ-კონსულტანტის თანხმობა კონსულტირება გაუწიოს პოსტდოქტორანტად დასაქმების პირს მისი საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში.

ზ) პროექტი (6 თვიან პერიოდებად გაწერილი კვლევის შუალედური და საბოლოო შედეგების სახით).

თ) სამეცნიერო დარგის/მიმართულების ორი წამყვანი სპეციალისტის მხარდაჭერის წერილი.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები არ ვრცელდება პოსტდოქტორანტის სპეციალური წესით მიღებაზე.

## **მუხლი 9. პოსტდოქტორანტად მუშაობის პირობები**

1. პოსტდოქტორანტად მუშაობის ვადაა 12-დან 24 თვემდე. გამონაკლის შემთხვევაში, იმ სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შუამდგომლობით, სადაც ხორციელდება პროექტი, პოსტდოქტორანტს საქმიანობის ვადა შეიძლება

გაუგრძელდეს არაუმეტეს 6 თვით. გადაწყვეტილებას პოსტდოქტორანტად მუშაობის ვადის გაგრძელების შესახებ იღებს აკადემიური საბჭო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება ინდივიდუალური წესითა და სპეციალური წესით დასაქმებულ პოსტდოქტორანტებზე.

3. პოსტდოქტორანტი, როგორც დასაქმებული, სარგებლობს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე დასაქმებულისათვის დადგენილი უფლებებითა და გარანტიებით და ვალდებულია დაიცვას ხსენებული სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

4. პოსტდოქტორანტი სარგებლობს უნივერსიტეტის მასწავლებლად (სპეციალისტი პედაგოგი საათობრივი ანაზღაურებით) და დამხმარე პერსონალად (შესაბამისი დარგობრივი მიმართულებით) უპირატესი მიწვევის უფლებით.

5. უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტის მიერ უნივერსიტეტში განხორციელებადი პროექტის ფარგლებში მიღწეულ სამეცნიერო პროდუქტზე ქონებრივი საავტორო უფლებების თანამესაკუთრეს ავტორთან ერთად წარმოადგენს უნივერსიტეტი. გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის უნივერსიტეტსა და პოსტდოქტორანტს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ გამოგონებას დააპატენტებს პოსტდოქტორანტი დამოუკიდებლად, უნივერსიტეტს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 50% – უნივერსიტეტს და 50% – პოსტდოქტორანტს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტსა და პოსტდოქტორანტს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

## **მუხლი 10. შრომის ანაზღაურება**

1. კონკურსის საფუძველზე დასაქმებული პოსტდოქტორანტის შრომის ანაზღაურება უტოლდება თვეში უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის მინიმალური სარგოს ოდენობას.

2. ინდივიდუალური წესით დასაქმებული პოსტდოქტორანტის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის შესაბამისად.

3. სპეციალური წესით დასაქმებული პოსტდოქტორანტის ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამისი საგრანტო პროექტის ბიუჯეტის საფუძველზე.



## **მუხლი 11. პოსტდოქტორანტის საქმიანობის შეფასება**

1. პოსტდოქტორანტი ვალდებულია საქმიანობის ყოველი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში მის მიერ პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ იმ სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების ხელმძღვანელობას სადაც ხორციელდება მისი პროექტი.

2. პოსტდოქტორანტის ანგარიში შეიცავს ინფორმაციას მიღწეული შედეგების შესახებ (ასევე არსებობის შემთხვევაში გამოქვეყნებული ნაშრომების, კონფერენციებში მონაწილეობის, პატენტების, გამოგონებების, მაგისტრებისა და დოქტორანტების კვლევაში ჩართვის შესახებ და სხვა).

## **მუხლი 12. პოსტდოქტორანტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები**

1. გარდა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის „შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“, „ეთიკის კოდექსის“, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი საფუძვლებისა პოსტდოქტორანტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის უფლებამოსილი პირისათვის/პირებისათვის წარუდგენლობა;

ბ) შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის უფლებამოსილი პირისათვის/პირების მიერ ზედიზედ ორჯერ არადაამაკმაყოფილებლად შეფასება.

გ) მეცნიერისთვის შეუფერებელი ქმედებების განხორციელება (სამეცნიერო ეთიკის დარღვევა).

2. უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტის მიერ უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებადი პროექტის ან პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევის სხვა სუბიექტის ბაზაზე (სახელით) განხორციელების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა და მოითხოვოს ხსენებული პროექტის უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელების შედეგად მიღწეული სამეცნიერო

პროდუქტზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონებრივი საავტორო უფლებების გავრცელება.

### **მუხლი 13. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

პოსტდოქტორანტი სარგებლობს უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

### **მუხლი 14. პოსტდოქტორანტურის ადმინისტრაციული ხელშეწყობა**

1. პოსტდოქტორანტთა საქმიანობის ზოგად კოორდინაციას/ხელმძღვანელობას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი.

2. პოსტდოქტორანტის საქმიანობას საჭიროების შემთხვევაში ხელს უწყობს უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ან/და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადმინისტრაცია.